



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY

წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 5

„19” 07 2018 წ.

დადგენილება № 20

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018 წლის კონსოლიდირებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსოლიდირებულ ბიუჯეტში და ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს შესაბამის სამსახურს.
4. საფუძველი: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რ. თათეშვილის მიმართვა N4 18 00901664 (12/07/2018); N6 18 00920755 (18/07/2018).
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზალიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
 სპიკერი, პროფესორი

ლავრენტი ჩიბურდანიძე